საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020131181155920

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/6354 **31 / აგვისტო / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე (ობიექტის ფართობი - 145 330 $м^2$ (14, 5 ჰა), 108 977 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვების (ID 50262/14042) სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 445-550 მ სიმაღლეზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ც., Shape-ფაილი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ნანა ზამთარაძე